საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030192332536519

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/448 **14 / იანვარი / 2019 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

როგორც მოგეხსენებათ, 2018 წლის 5 ივლისს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად და ასევე, „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს განესაზღვრა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოსა (პროგრამული კოდი - 27 01 04 12) და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს (პროგრამული კოდი - 27 01 04 13) ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილება.

ვინაიდან, აღნიშნულ ტერიტორიულ ერთეულებში უკვე ფუნქციონირებს სააგენტოს სამხარეო ცენტრები (სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სამხარეო ცენტრი-პროგრამული კოდი: 27 01 04 02 და სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ცენტრი- პროგრამული კოდი: 27 01 04 06) და ასევე, მათთვის დამტკიცებული ასიგნებების მოქნილად მართვის მიზნით, საჭიროა გაერთიანდეს ზემოაღნიშნული ორი ტერიტორიული ერთეულის საბიუჯეტო ასიგნებები წარმოდგენილი დანართის შესაბამისად.

ასევე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2018 წლის 12 დეკემბრის NA18174509-007/001 შეტყობინებით სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა აღსრულების საფასურის გადახდა 50 ლარის ოდენობით. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საჭიროა „მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება“ (პროგრამული კოდი-27 02 02) პროგრამით გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში განხორციელდეს დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება და „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე გაიზარდოს „სხვა ხარჯების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, განახორციელოთ „სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვის“ (პროგრამული კოდი 27 01 04) პროგრამის დეტალურ ჩაშლაში ცვლილებები და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31- ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დამტკიცებულ გეგმაში ცცლილება, დანართის შესაბამისად.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მინისტრის მოადგილე გიორგი წოწკოლაური